ოქტომბერი, 2015

NEWSLETTER

ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი

IDFI



საქართველოს პარლამენტის ინტერფრაქციულმა ჯგუფმა ღია მმართველობის პარტნიორობის ჩემპიონთა ჯილდო მოიპოვა

27 ოქტომბერს საქართველომ ღია მმართველობის პარტნიორობის (OGP) ჩემპიონთა ჯილდო მოიპოვა. სამ ფინალისტ ქვეყანას შორის საქართველოს მიერ წარდგენილმა ვიდეომ ხმათა ყველაზე მეტი რაოდენობა მოაგროვა. დაჯილდოვების ცერემონია მექსიკის დედაქალაქ მეხიკოში, OGP-ის სამოქალაქო დღეზე გაიმართა, რომელიც 2015 წლის ღია მმართველობის პარტნიორობის გლობალური სამიტის ფარგლებში ჩატარდა.

სამიტში მონაწილეობა მიიღეს სახელმწიფო და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებმა საქართველოდან, მათ შორის იყვნენ IDFI-ის დელეგატები: დირექტორი - გიორგი კლდიაშვილი, თავმჯდომარე - ლევან ავალიშვილი და პროექტის კოორდინატორი - დავით მაისურაძე. საქართველოს წარმოადგენენ ასევე, იუსტიციის სამინისტროს ანალიტიკური დეპარტამენტის წარმომადგენლები - ქეთევან ცანავა და ზურაბ სანიკიძე, და საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველოს აღმასრულებელი დირექტორის მოადგილე - გიორგი ონიანი.

ღია მმართველობის პარტნიორობის სამოქალაქო საზოგადოების დღეზე, IDFI-ის დირექტორმა, გიორგი კლდიაშვილმა ისაუბრა, თუ რატომ იმსახურებს ამ ჯილდოს სწორედ საქართველოს პარლამენტის ინტერ-ფრაქციული ჯგუფი, რომელიც ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტმა, როგორც სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებით დაკომპლექტებული ღია პარლამენტის სამუშაო ჯგუფის კოორდინატორმა, ნომინაციაზე წარადგინა.
OGP-ის სამოქალაქო საზოგადოების დღეზე IDFI-ის დირექტორმა გიორგი კლდიაშვილმა მონაწილეობა მიიღო სესიაში ,,საკანონმდებლო ორგანოს პარტნიორობაში ჩართვის საუკეთესო გზები", ხოლო ლევან ავალიშვილმა განიხილა ,,მოქალაქეზე ორიენტირებული ანტი-კორუფციული ინიციატივები".

ასევე, გიორგი კლდიაშვილი გახდა წიგნის - Open Parliaments – Results and Expectations თანაავტორი ვრცელი წერილით Open Parliament in Georgia's OGP Action Plan.

თვის მოვლენები:

- 27 ოქტომბერს საქართველომ ღია მმართველობის პარტნიორობის (OGP) ჩემპიონთა ჯილდო მოიპოვა
- Freedom House: ინფორმაციის თავისუფლების კუთხით საქართველოს პოზიცია გაუმჯობესდა

ოქტომბრის თქვეში IDFI-მ მოამზადა 3 კვლევა

- საქართველო გლობალური მმართველობის ინდიკატორებში 1996 - 2014
- „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტის (მიღებული მეორე მოსმენით) სამართლებრივი ანალიზი
- საქართველოდან აშშ-ს ლობისტური კომპანიებისთვის გადარიცხული თანხების ანალიზი (2008-2015 წწ.)

აქტივობები

სტრატეგიული გეგმა საქართველო 2020 - სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობის გაძლიერება (2015-2016)

პროექტის ფარგლებში IDFI-მ გამართა ორი დისკუსია:

- საქართველოს ინტერნეტიზაცია და ფართოზოლოვანი განვითარება
- 2016 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის კანონის პროექტის საჯარო განხილვა

პროექტის ფარგლებში 25-27 სექტემბერს, ანალიტიკოსთა კონკურსის 13 კონკურსანტის გასვლითი სამუშაო შეხვედრა გაიმართა. შეხვედრის მონაწილეებმა გააკეთეს პრეზენტაცია საკუთარ კვლევით და ანალიტიკურ ნაშრომებზე დაყრდნობით. ამის შემდგომ, კონკურსანტებმა გამოაქვეყნეს ანალიტიკური სტატიები სხვადასხვა თემაზე:

1. სტრატეგიული გეგმა საქართველო 2020 – პასუხები ფინანსთა სამინისტროსგან
2. ეროვნული ვალუტის გაუფასურების გამომწვევი მიზეზები და საფრთხეები
3. ლარის გაუფასურების გავლენა სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგია “საქართველო 2020”-ზე
4. პირველადი ჯანდაცვის რეფორმისთვის გასატარებელი პოლიტიკის პირველი ნაბიჯები
5. BDD 2016-2019: მცირე ნამცხვრის გადანაწილება
6. საქართველოს საპენსიო რეფორმა
7. საჯარო სექტორში არაფორმალური ინსტიტუტების შექმნის და არსებობის მიზეზები საქართველოში
8. საქართველოს რკინიგზის რესტრუქტურიზაცია
9. ინკლუზიური ზრდა და შესაძლებლობებზე ორიენტირებული მიდგომა - ალტერნატივები საქართველოს განვითარების პოლიტიკისთვის
10. საქართველოს ენერგოთანამეგობრობაში გაწევრიანების უპირატესობები
11. საქართველოს ფართოზოლოვანი განვითარება და საქართველო 2020-ის მიზნების რეალიზაციისთვის განსაზღვრული აქტივობები
12. ობლიგაციების ბაზრის განვითარების პერსპექტივები საქართველოში

ღია მმართველობის პარტნიორობის (OGP) ინიციატივაში საქართველოს პარლამენტის ჩართულობის მხარდაჭერა

პროექტის ფარგლებში IDFI-მ გამოაცხადა კონკურსი იმ სტუდენტებისთვის, რომლებიც დაინტერესებულნი არიან საქართველოს პარლამენტის საქმიანობით და საკანონმდებლო ორგანოს მუშაობის პროცესში ჩართულობით. OGP-სთან დაკავშირებით, ორგანიზაციამ ასევე მოამზადა სამი სტატია:

- IDFI შეუერთდა OGP-ს დეკლარაციას „ღია მმართველობა მდგრადი განვითარების დღის წესრიგის განხორციელებისათვის“
- ღია მმართველობის პარტნიორობის საძიებო სისტემა - OGP Explorer
- ღია მმართველობის პარტნიორობა, როგორც გაეროს 2030 წლის მდგრადი განვითარების მიზნების განხორციელების საშუალება

საჯარო ინფორმაციის მონაცემთა ბაზა - www.opendata.ge 2013-2015

IDFI-მ გამოაქვეყნა სსიპ ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურიდან 12 აგვისტოს მიმართვის პასუხად მიღებული ინფორმაცია, რომელიც მოიცავდა ბიუჯეტსა და განხორციელებულ პროგრამებს, პრემიებს, დანამატებს, სამივლინებო ხარჯებს, განთავისუფლებული და აღდგენილი თანამშრომლების შესახებ ინფორმაციას.

IDFI-მ თავდაცვის სამინისტროდან მოწოდებული ინფორმაციის მიხედვით გამოაქვეყნა სტატია საქართველოს შეცვლილი საზღვრების შესახებ ოკუპაციის შემდეგ. აღნიშნული სტატია იუწყება საქართველოს მიერ ჯერ კიდევ კონტროლირებადი რომელი ტერიტორიები შეიძლება აღმოჩნდეს ე.წ. ადმინისტრაციული „საზღვრის“ მიღმა და 2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ ოსი სეპარატისტული მთავრობის მიერ რომელი რუკის მიხედვით ხდება „მცოცავი ოკუპაცია“.

ერთობლივი განცხადებები:

- კოალიციის განცხადება სამაუწყებლო კომპანია რუსთავი 2-ის საკონტროლო პაკეტის მფლობელი კომპანიის წილების დაყადაღებასთან დაკავშირებით
- არასამთავრობო ორგანიზაციებმა იუსტიციის უმაღლეს საბჭოში მიმდინარე მოსამართლეთა დაწინაურების პროცესს უნდობლობა გამოუცხადეს
- კოალიციის განცხადება მედიის თავისუფლების ხელისუფლების მხრიდან შეზღუდვის შესახებ
- კოალიციის გამოხმაურება პროკურორთა პირველი კონფერენციის ჩატარების ფაქტზე

სხვა აქტივობები:

- IDFI-ის ანალიტიკოსებმა CSRDG-ის მიერ ორგანიზებული დასკვნითი ტრენინგი ჩაატარეს
- IDFI-ს ანალიტიკოსმა ელ-ჩართულობის შესახებ ტრენინგი ჩაატარა
- IDFI-მ მოსწავლეებისთვის გამჭვირვალე არქივებისა და სტალინური სიების შესახებ ლექცია ჩაატარა

INSTITUTE FOR DEVELOPMENT OF FREEDOM OF INFORMATION
IDFI

Address: 3, Griboedov Street, Tbilisi, 0108, Georgia
Contact: info@idfi.ge | 00 995 322 921514
Web: www.idfi.ge | www.opendata.ge | Research